

## ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის განვითარების კონცეფცია

### შესავალი

როგორც წესი, ჩვენი უნივერსიტეტის შესახებ გვესმის: „საქართველოსა და კავკასიაში პირველი უნივერსიტეტი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ), ტრადიციულად ასახავს ქვეყანაში მეცნიერების განვითარების დონეს. .... თსუ-ს გააჩნია ჯანსაღი ამბიციის, იყოს ლიდერი კვლევითი ცენტრი არა მხოლოდ საქართველოში, არამედ რეგიონში და ღირსეული ადგილი ეჭიროს მსოფლიო სამეცნიერო-საგანმანათლებლო სივრცეში. ამ ამბიციას ბოლო წლების სტატისტიკა და მეცნიერების მენეჯმენტის კუთხით განხორციელებული და დაგეგმილი ნაბიჯები ასაზრდოებს“... შექმნილ ეფექტს განამტკიცებს შთამბეჭდავი სტატისტიკა სამეცნიერო პუბლიკაციების და სხვადასხვა საერთაშორისო თუ ადგილობრივი სამეცნიერო ფონდების მიერ დაფინანსებული და განხორციელებული პროექტების შესახებ, რაც უდაოდ გაახარებს უნივერსიტეტის ყველა ქომავს. საიდუმლოს არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ამ შეფასების მიღწევაში ლომის წილი მიუძღვის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტს. ამის მიუხედავად, ფაკულტეტი არ არის სათანადოდ დაფასებული და მხარდაჭერილი თსუ ადმინისტრაციის მხრიდან.

საუნივერსიტეტო ინსტიტუცია ეყრდნობა სამ ძირეულ ცნებას **სტუდენტი-პედაგოგი-მკვლევარი**, რომელთა ცალკ-ცალკე განხილვა ლიდერის პოზიციების გასამაგრებლად და მსოფლიო სივრცეში ღირსეული ადგილის დასაკავებლად წარმოუდგენელია. რა უნდა მისცეს უნივერსიტეტმა ამ სამეულს, რომ მიიღოს მაქსიმალური უკუგება?

**სტუდენტი** - უნდა ჰქონდეს მისი მოთხოვნის შესაბამისი განათლების მიღების საშუალება სწავლის ყველა ეტაპზე, უნდა ჰქონდეს საშუალება აქტიურად ჩაერთოს სამეცნიერო-პარაქტიკულ საქმიანობაში, მიეცეს შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს ქვეყნის სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებაში. ეს მოითხოვს საუნივერსიტეტო სივრცეში საერთაშორისო დარგობრივი სტანდარტების საგანმანათლებლო პროგრამების არსებობას (ამის სიმწირეს ჩვენი ფაკულტეტი არ განიცდის); საგანმანათლებლო პროგრამების ადამიანური, მეთოდური, მატერიალური და ადმინისტრაციული რესურსებით უზრუნველყოფას, რაც სამწუხაროდ ფაკულტეტზე სრულად დაკმაყოფილებული არაა. ფაკულტეტზე და უნივერსიტეტში, წარმატებული უნივერსიტეტების მსგავსად, ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რომ სტუდენტმა დროის უდიდესი ნაწილი გაატაროს უნივერსიტეტის კედლებში, რისთვისაც საჭიროა შესაბამისი ინფრასტრუქტურა (ბიბლიოთეკები, კვების ობიექტები და რეკრეაციული ზონები, სპორტული დარბაზები), რომლითაც სტუდენტებთან ერთად ფაკულტეტის თანამშრომლებიც ისარგებლებენ. მრავალფეროვანი სტუდენტური კლუბები (სპორტული, სამეცნიერო და სხვა), მათი მონაწილეობა ფაკულტეტის მმართველობაში ერთერთი მნიშვნელოვანი საკითხია, რომელიც უშუალოდ მათი ჩართულობით უნდა გადაწყდეს და დაიგეგმოს.

**პედაგოგი** - უნდა ჰქონდეს მისი განათლების და კვალიფიკაციის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობის საშუალება - აქ, ჩემი აზრით, სრულად არაა გამოყენებული ფაკულტეტის სამეცნიერო დარგობრივი მრავალფეროვნების პოტენციალი (მცირედ არის წარმოდგენილი დარგთაშორისი დისციპლინები, რომ არაფერი ვთქვათ უშუალოდ დარგთაშორის სასწავლო პროგრამებზე); უნდა ჰქონდეს კვალიფიკაციის ამაღლების

საშუალება - თსუ-მ უნდა დახარჯოს გარკვეული მატერიალური რესურსი და უზრუნველყოს პედაგოგების პერიოდული ტრენინგები აუცილებელ IT ტექნოლოგიებსა (მაგალითად საოფისე პროგრამებში) და, შესაძლოა, ინგლისურ ენაში. უნდა ჰქონდეს სხვა უმაღლეს სასწავლებლებთან (როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ) გამოცდილების ურთიერთგაცვლის საშუალება, რაც არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ სხვადასხვა დონის და პროფილის კვალიფიკაციის ასამაღლებელ ტრენინგებში ჩართულობით, არამედ საშუალება მიეცეს ჩაერთოს სასწავლო პროცესშიც (თსუ-ში ძირითადი საქმიანობისათვის ზიანის მიყენების გარეშე). უზრუნველყოფილი უნდა იყოს უახლესი მეთოდური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით.

**მკვლევარი** - უნდა ჰქონდეს მისი განათლების, კვალიფიკაციის და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კვლევების წარმოების საშუალება; სამეცნიერო დონის ამაღლების საშუალება სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევით და პრაქტიკულ საქმიანობაში მონაწილეობით, კვლევებში სტუდენტების და პედაგოგების ჩართვით, რაც უზრუნველყოფილი უნდა იყოს ყველასათვის ხელმისაწვდომი მატერიალურ-ტექნიკური და ადმინისტრაციული რესურსებით. მაღალი დონის თანამედროვე ექსპერიმენტული კვლევის წარმოება მოითხოვს ძვირად ღირებულ ხელსაწყოებს და კვლევით მასალებს. რიგი ხელსაწყოები, გარდა იმისა, რომ ძვირად ღირებულია, ექსპლუატაციის თვალსაზრისითაც მოითხოვს დანახარჯებს. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მკვლევარები რიგი მეცნიერების უმრავლეს ქვედარგებში ერთადერთი არიან ქვეყნის მასშტაბით, აუცილებელია საბაზო დაფინანსების არსებობა არა მხოლოდ საუნივერსიტეტო, არამედ სახელმწიფო დონეზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოში გაქრება საბუნებისმეტყველო დარგებში დიდი ტრადიციების მქონე არაერთი სამეცნიერო სკოლა.

## სტრუქტურული განახლება

თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის არსებული სტრუქტურა ერთი შეხედვით 2005 წელს მეცნიერებისა და განათლების რეფორმის ერთ-ერთ წარუმატებელ შედეგს წარმოადგენს. ფაკულტეტების გამსხვილებამ გამოიწვია რიგი მიმართულებების და სამეცნიერო სკოლების დაშლა/შერწყმა. ამ რეფორმის მოტივაცია - ადმინისტრაციული და მატერიალური რესურსების დაზოგვა - უარყოფითად აისახა მთელ რიგ პროცესებზე (თვითონ მოტივიც საკამათოა, რბილად რომ ვთქვათ). მიუხედავად ამისა მიმაჩნია, რომ ფაკულტეტზე სრულად არ არის გამოყენებული „კოჰაბიტაციის“ დადებითი მხარეები. ფაკულტეტის რეალური ავტონომიურობის პირობებში, არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით (როდესაც არსებობს 4 მიმართულების პროგრამული დაფინანსება), და ფუნდამენტური კვლევების საბაზო დაფინანსების არსებობით შესაძლებელი იქნება არა მხოლოდ ძველი აკადემიური და სამეცნიერო სკოლების აღორძინება, არამედ ახლის ჩამოყალიბებაც (განსაკუთრებით დარგთაშორისის, რაც ეთანხმება თანამედროვე მეცნიერების განვითარების ძირითადი ტენდენციებს). ამასთან ფაკულტეტის მართვა უნდა გახდეს გამჭვირვალე - ბიუჯეტის დაგეგმვა (ფაკულტეტის არაერთგვაროვნობის გამო ბიუჯეტის რიგი მუხლები, ისეთები როგორცაა მივლინება, მასალა/რეაქტივები, საექსპედიციო ხარჯები და სხვა, უნდა განისაზღვროს დეპარტამენტების მიხედვით), საკადრო პოლიტიკის განსაზღვრა, სასწავლო კონტენტის რაოდენობრივი განსაზღვრა-გადანაწილება, ყველა დონის (როგორც შიდა საუნივერსიტეტო ასევე მის ფარგლებს გარეთ) თანამშრომლობის დაგეგმვა, რომელიც მოითხოვს ფაკულტეტის ადმინისტრაციულ, მატერიალურ-ტექნიკურ, ინფრასტრუქტურულ რესურსებს უნდა ხორციელდებოდეს არა ერთპიროვნულად ან ერთი

რომელიმე დეპარტამენტის ინტერესების გათვალისწინებით, არამედ ურთიერთშეთანხმებით ყველა დეპარტამენტს შორის.

ფაკულტეტის სტრუქტურული მოწყობის ერთერთ მოდელად შეიძლება განიხილებოდეს ევროპაში მიღებული ეგრეთწოდებული „საუნივერსიტეტო სკოლების“ სისტემა - დირექტორთა საბჭოს მმართველობით.

რაც მთავარია, ფაკულტეტის სტრუქტურა არ წარმოადგენს უცვლელ დოგმას. დასაბუთებული და ურთიერთმისაღები პროექტის შემთხვევაში არა თუ შესაძლებელი, არამედ აუცილებელიც შეიძლება გახდეს ფაკულტეტის გარკვეული დეპარტამენტების გარდაქმნა საუნივერსიტეტო ფაკულტეტებად. თუმცა, ამ ეტაპის მისაღწევად ერთი მთავარი წინაპირობა არის უნივერსიტეტში სახელფასო პოლიტიკის რევიზირება უნივერსიტეტის განახლებული ადმინისტრაციის მხრიდან ჩვენი ყველა ფაკულტეტის ყველა ინტერესის გათვალისწინებით.

### **სასწავლო პროცესის თანამედროვე მეთოდოლოგიური და ტექნოლოგიური უზრუნველყოფა**

ოსუ-ს უკვე სწავლების საუკუნოვანი ტრადიცია გააჩნია. სწავლების არაერთი მეთოდოლოგიაა უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული და დანერგილი, მაგრამ ფაკულტეტზე სასწავლო რესურსების მატერიალურ-ტექნიკური განახლების არასაკმარისი ტემპი და მოცულობა ზღუდავს სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვა-განვითარებას. სწავლების თანამედროვე მეთოდები: ინტერაქტიული ტექნოლოგიები, „სიტუაციური ამოცანების გამოყენება, საქმიანი თამაშები (განსაკუთრებით დარგთაშორისი), პრობლემური ლექციები, „მონოლოგი-დიალოგი“, ელექტრონული და დისტანციური სწავლება, წარმოუდგენელია საგანმანათლებლო-სამეცნიერო რესურსების შექმნა/წვდომის უზრუნველყოფის, ინფორმაციული ტექნოლოგიების გამართული ინფრასტრუქტურის და პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების გარეშე. მცირე ნაწილის უზრუნველყოფა ფაკულტეტზე არსებული რესურსებით შესაძლებელია (ძირითადად ყველა სასწავლო მასალების ელექტრონული რესურსების უზრუნველყოფით და დისტანციური სწავლების ტექნოლოგიების რესურსის სრულფასოვანი გამოყენებით), მაგრამ კვლავ პრობლემად დარჩება ექსპერიმენტალური დარგების (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, ელექტრონიკა, ნაწილობრივ კომპიუტერული მეცნიერება) ხელსაწყოებით და მასალა-რეაქტივებით უზრუნველყოფა, თუ ფაკულტეტი არ იბრძოლებს სახელმწიფო დონეზე საბაზო დაფინანსების მიღებისთვის (და შესაბამისად სწავლის საფასურის რეალურ განსაზღვრაზე). ასევე პრობლემურია ლიცენზირებული პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც აუცილებელია არა მხოლოდ კომპიუტერული მეცნიერების და მათემატიკის დეპარტამენტისათვის, არამედ ფაკულტეტის ყველა დეპარტამენტის მიერ სრულყოფილი სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობისათვის.

მნიშვნელოვანია დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების შეტანა პროგრამული დაფინანსების ნუსხაში. ეს მიმართულება აერთიანებს საქართველოსთვის სტრატეგიული მნიშვნელობის დარგებს, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ აკრედიტირებული სახელმწიფო და კერძო უმაღლესი სასწავლებლების სიმრავლის მიუხედავად, გეორგაფიის და გეოლოგიის სპეციალობა (ბიოლოგიის, ფიზიკის და ქიმიის სპეციალობებთან ერთად), მხოლოდ რამოდენიმე ერთეულია.

სასწავლო პროცესის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხები უფრო მძაფრდება მოახლოებული რეაგტორიზაცია-რეაკრედიტაციის ჭრილში, რადგან აუცილებელი ხდება არსებული სასწავლო პროგრამების გადახალისება. ფაკულტეტზე მოქმედ 4 სპეციალობაზე (ბიოლოგია, ქიმია, მათემატიკა, ფიზიკა), სწავლის დაწყებისთანავე არის ცნობილი მისი

კონტინგენტი. გარდა ამისა, იგეგმება რომ 2017-2018 სასწავლო წლიდან უმაღლეს სასწავლებლებში მიღება განხორციელდება ცალკეულ პროგრამებზე. ამიტომ, იძულებითი „კოჰაბიტაციით“ გამოწვეული „პირველი სემესტრის სავალდებულო დისციპლინები“ უნდა შეიცვალოს დარგისთვის საჭირო საგნებით (რა თქმა უნდა, შენარჩუნებული იქნება დამატებითი სპეციალობის, რომელიც ჯერჯერობით არასრულად ათვისებულ სივრცეს წარმოადგენს, და თავისუფალი კრედიტების მიღების შესაძლებლობა).

### ყველასათვის ხელმისაწვდომი ინფორმაციული, მატერიალურ-ტექნიკური და ადმინისტრაციული რესურსები

ობიექტურობა, სამართლიანობა, გამჭვირვალობა, ეთიკისა და მოვალეობის პრინციპების დაცვა, დემოკრატია, ჰუმანიზმი, საჯაროობა - ეს ის ღირებულებებია, რომელსაც უნდა იცავდეს ლიდერი უნივერსიტეტი და მისი ერთერთი წამყვანი ფაკულტეტი - ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი. ამოსავალი წერტილი ყოველივე ამის უზრუნველსაყოფად არის ყველასათვის ხელმისაწვდომი ინფორმაციული, მატერიალურ-ტექნიკური და ადმინისტრაციული რესურსები. აუცილებელია ფაკულტეტის ცხოვრებაში ყოველი სტუდენტისა და თანამშრომლის ჩართულობის უზრუნველყოფა. რაც მოითხოვს:

- ინფორმაციულ-ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის გამართვას, რამაც უნდა უზრუნველყოს ინფორმირებულობა როგორც შიდა საფაკულტეტო, ისე გარე დონეზე (ფაკულტეტის დონის შესაბამისი ვებ-გვერდის და ინტრანეტის შექმნა-ფუნქციონირება, კომპიუტერული მეცნიერების დეპარტამენტის პროფესიული რესურსის გამოყენება);
- საფაკულტეტო რესურსების სრულყოფილ გამოყენებას საფაკულტეტო საქმიანობაში - სტუდენტური და პედაგოგიურ-სამეცნიერო პოტენციალის ჩრთულობის უზრუნველყოფა (არ უნდა ვეძებდეთ ამა თუ იმ სამუშაოს შემსრულებელს თსუ-ს გარეთ, როდესაც არსებობს მარალკვალიფიციური კადრი შიგნით);
- უნივერსიტეტის ტერიტორიის გარეთ არსებული საფაკულტეტო ინფრასტრუქტურული რესურსების აღდგენა/განახლებას და სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობაში მაქსიმალურ ჩართვას (ამ მიზნით შესაძლებელია განათლებისა და მეცნიერებათა სამინისტროს ინფრასტრუქტურული გრანტის ან/და ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა სპონსორული მხარდაჭერის მოძიება);
- სტუდენტური თვითმმართველობის ან/და სტუდენტური კლუბების რესურსების გამოყენების ხელშეწყობას სტუდენტისათვის და ფაკულტეტის ცხოვრებაში ყოველი მათგანის ჩართულობის მაქსიმალურ უზრუნველყოფას;
- კვალიფიკაციის ამაღლებისა და მოტივაციის გაზრდისათვის აუცილებელი მექანიზმების შემუშავება და დანერგვა (შრომის ანაზრაურების მექანიზმის შემუშავება შესრულებული სამუშაოს ხარისხის, მოცულობის და მნიშვნელობის გათვალისწინებით);
- ფაკულტეტის თანამშრომლების მიერ არსებული რესურსებით საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვადასხვა საქმიანობის მხარდაჭერას, რომელიც ხელს შეუწყობს თანამშრომელთა პროფესიული დონის ამაღლებას, პრაქტიკული ტიპის სამუშაოში სტუდენტთა ჩართულობას და მატერიალურ წახალისებას;
- უნივერსიტეტს გარეთ მოღვაწე ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა „რესურსების“ გამოყენებას“.

უდავოა, რომ სახელმწიფო დონეზე საბაზო დაფინანსების მიღება ერთ დღეში გადასაწყვეტი საკითხი არ არის. ამიტომ აუცილებელია მოვიძიოთ სხვა რესურსები. პირველ რიგში, ეს რესურსი უნდა ვეძიოთ უნივერსიტეტის ბიუჯეტში.

ფაკულტეტის ბიუჯეტი დაახლოებით 5 945 000 ლარია. სასწავლო პროცესით მიღებული შემოსავალი, უხეში დათვლით, 8 მილიონ ლარზე მეტს შეადგენს. ფაკულტეტი არა არის დოტაციური. გარდა ამისა, როგორც აღვნიშნეთ, დიდია ფაკულტეტის წვლილი ინტელექტუალური ფასეულობის სახით (სამეცნიერო სტატიები, მონოგრაფიები, პროექტები და სხვ.), რაც არსებით გავლენას ახდენს თსუ-ს რეიტინგზე. ასე რომ, სახელმწიფო საბაზო დაფინანსების მიღებამდე შესაძლებელია ადმინისტრაციისაგან მოთხოვნილი იქნას დამატებითი დაფინანსება.

2015 წელს უნივერსიტეტს აუთვისებელი დარჩა დაახლოებით 6 მილიონ ლარამდე თანხა. ეს მაშინ, როდესაც ერთი შენობის (თსუ მე-11 კორპუსი) ფარგლებში სხვადასხვა დეპარტამენტი განსხვავებულ სამუშაო პირობებში იმყოფება და უკვე ერთი წელია ავარიულ მდგომარეობაშია ამავე შენობაში არსებული ორი დიდი აუდიტორია, რაც მნიშვნელოვნად ართულებს სასწავლო პროცესის დაგეგმვას. ეს ფაქტი, მის მოგვარებამდე, უნდა გახდეს თსუ ადმინისტრაციისადმი ყოველდღიური შეხსენების და მოთხოვნის საგანი.

ამასთანავე უნდა შევინარჩუნოთ ყველაფერი კაპიტი და დადებითი, რაც ფაკულტეტის არსებობის 11 წლის მანძილზე შეიქმნა და ჩამოყალიბდა და უნდა გავაკეთოთ ყველაფერი, რომ მივაღწიოთ თანამშრომლობის და ურთიერთგაგების კიდევ უფრო მაღალ დონეს.

ყოველივე ზემოთ თქმულის მიღწევა არ ძალუძს ერთ ან რამდენიმე ადამიანს. ამიტომ მნიშვნელოვანია ყოველი თანამშრომლის (განურჩევლად თანამდებობრივი პოზიციისა) და სტუდენტის აქტიური ჩართულობა ფაკულტეტის ცხოვრებაში.



მანანა ხაჩიძე

21.06.2016 წელი